

EUGIP

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

 ideas
powered

@SCHOOL

21 დღე

უფრო კრეატიული ცხოვრებისაკენ

- დავებმართოთ მოსწავლეებს შემოქმედებითობის დავასებაში -



“

„ყველა ბავშვი მხატვარია. ძნელი ისაა, დიდობაშიც მხატვრად დარჩე.“

პაბლო პიკასო

„როდესაც გონება ერთობა, ეს არის შემოქმედებითობა.“

ალბერტ აინშტაინი

„მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ზუსტად ისე არ მუშაობს, როგორც გეგმავდით, არ ნიშნავს, რომ ის გამოუსადეგარია.“

თომას ედისონი

„კრეატიულობას იდეების კონფლიქტი აჩენს.“

დონატელა ვერსაჩე

„თქვენ ვერ შეძლებთ კრეატიულობის ამოწურვას. რაც უფრო მეტად გამოიყენებთ მას, მით უფრო მეტი გექნებათ.“

მაია ანჯელოუ

„თქვენ ხედავთ რეალურ საგნებს და კითხულობთ: „რატომ?“ მე კი წარმოვიდგენ ხოლმე არარსებულ საგნებს და ვკითხულობ: „რატომაც არა?“

ჯორჯ ბერნარდ შოუ

„კრეატიულობა სხვადასხვა რაღაცის ერთმანეთთან დაკავშირებაა, სხვა არაფერი.“

სტივ ჯობსი

”

დღევანდელ სამყაროში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, რამხელა მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითობასა და ინოვაციას ჩვენს ცხოვრებაში. შემოქმედებითი ჩვევის გამოსამუშავებლად შეავსე ეს 21-დღიანი დღიური.

როდესაც დღიურს მთლიანად შეავსებ, სთხოვე შენს მასწავლებელსა და ერთ-ერთ მშობელს, დააფასონ შენი მუშაობა და ხელი მოაწერონ სერტიფიკატს. სერტიფიკატს ბოლო გვერდზე ნახავ.

დღე 1

შექმენი მაისური, რომლითაც სიამოვნებით ივლიდი სკოლაში

გაიხსენე, როგორია შენი საყვარელი მაისური:

რა ფერისაა?

.....

რა აწერია?

.....

რა ახატია?

.....

გააკეთე ჩანიშვნები შენ მიერ შექმნილი

მაისურის დიზაინზე:

რას გინდა, რომ გამოხატავდეს?

.....

რას დააწერ? რა სიტყვებს გამოიყენებ?


.....

რას დაახატავ? რა იქნება მასზე გამოსახული?

ამ ორიგინალური დიზაინის შემქმნელია

მინიშნება

ორიგინალური დიზაინი და ნახატები შეგიძლია დაიცვა ინტელექტუალური საკუთრების
უფლებებით.



დღე 2

დაბეჭდე ორი ფოტო, რომლებიც მოგწონს

1. შეარჩიე ტელეფონში შენი გადაღებული ერთი ფოტო.
2. დაბეჭდე და ჩააწებე ჩარჩოში. მოიფიქრე და დააწერე სათაური.
3. ფოტოს ქვეშ შენი სახელი მიაწერე.
4. სთხოვე მეგობარს, დაგიბეჭდოს ერთი ფოტო თავისი ტელეფონიდან.
5. ჩააწებე ის მეორე ჩარჩოში და დააწერე მეგობრის მიერ მოფიქრებული სათაური.
6. მეორე ფოტოს ქვეშ შენი მეგობრის სახელი მიაწერე.



დღე 3

შექმენი ორიგინალური ნამუშევარი, რომელიც გუშინდელ დღეს უკავშირდება

დაფიქრდი და გაიხსენე რამე **ძალიან კარგი** ან რაიმე **ცუდი**, იქიდან, რაც გუშინ შეგემთხვა. დახუჭე თვალები და წარმოიდგინე, რომ ეს კვლავ ხდება.

რას ხედავ?

რა ხმები გესმის?

რა გრძნობა გეუფლება?

ჩაინიშნე სიტყვებით ან სურათებით.

გამოიყენე შენი ჩაინიშნები ორიგინალური ნამუშევრის შესაქმნელად. ეს შეიძლება იყოს:

- ნახატი
- მოთხრობა
- ლექსი
- სიმღერა
- კომიქსი
- ვიდეო

©

ეს ჩემი ორიგინალური ნამუშევარია!

მინიშნება

მხოლოდ იდეის დაცვა შეუძლებელია. შენ შეგიძლია, დაიცვა რაღაც ფორმით გამოხატული იდეები ხელოვნების ნაწარმოებების, მოთხრობების, ლექსების, სიმღერების, ვიდეოთამაშების და სხვა სახით, – ამისთვის არსებობს საავტორო უფლება.

დღე 4

შეავსე გული იმით, რაც გიყვარს

შენი გრძნობების გამოსახატავად გამოიყენე სხვადასხვა ფერი და შრიფტი.

გამოიყენე

- სიტყვები, ფრაზები, წინადადებები
- ნახატები
- სიმბოლოები

შეგიძლია
გულში ჩასვა

- ადამიანები, ადგილები, ცხოველები, საგნები, შენი ნივთები
- მუსიკა, ფილმები, წიგნები, თამაშები
- რაღაცის კეთება



დაფიქრდი!

რას იგრძნობდი, შენს
მასწავლებელს
დაუკითხავად რომ
დაედო ეს ნამუშევარი
სკოლის ვებგვერდზე?


მინიშნება

შენს სკოლას არ აქვს უფლება, გამოაქვეყნოს შენი ნამუშევარი ან დაამზადოს მისი ასლი შენი ნებართვის გარეშე.


დღე 5

შექმენი ლოგო, რომლითაც საკუთარ თავს წარმოაჩენ

შენ გარშემო არსებულ ნივთებზე მოძებნე სამი სხვადასხვა ტიპის ლოგო: მხოლოდ გამოსახულება, მხოლოდ სიტყვა, სიტყვა და გამოსახულება. გადმოხატე ეს ლოგოები უჯრებში.



ლოგო = გამოსახულება



ლოგო = სიტყვა



ლოგო = სიტყვა + გამოსახულება



რას გინდა რომ შენი ლოგო ამბობდეს შენ შესახებ? ჩაინიშნე:

შექმენი შენი ლოგო, მოიფიქრე მისი დიზაინი:

მინიშნება

ლოგო არის ნახატი, გამოსახულება ან სიმბოლო, რომელიც გამოხატავს კონკრეტულ კომპანიას. სწორად შერჩეული ლოგო თვალშისაცემია და სიტყვებზე უფრო სწრაფად ამბობს სათქმელს.

შექმენი შენი სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშნები გარშემო ყველგან გვხვდება. მოათვალიერე შენი სამზარეულო და ჩამოწერე საკვები პროდუქტების სასაქონლო ნიშნების სია. მოძებნე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის სიმბოლო.



გადაიხატე ან ჩააწებე რომელიმე საკვების სასაქონლო ნიშანი აქ. როგორ გააუმჯობესებდი მას? გააკეთე ჩანაწერები.

შექმენი შენი იდეალური საძინებელი ოთახი

გაზომე შენი საძინებელი ოთახი და გააკეთე მისი ნახაზი უჯრებიან ფურცელზე.

რა საგნებია მთავარი შენს ოთახში?

როგორ შეცვლიდა მათ დიზაინს იმისათვის, რომ უკეთ გამოიყენო ისინი?

გამოსახე ეს ნივთები ნახაზზე და მიუჩინე შესაბამისი ადგილები.

კიდეუ რა საგნები გინდა, რომ გქონდეს შენს ოთახში? ჩამოწერე ისინი მნიშვნელობის მიხედვით.

1. 2. 3. 4. 5. 6.

დაამატე ეს ნივთები შენს ნახაზზე.

შეადარე შენი საძინებლის ღირებულება მეგობრისას. რას ამბობს თქვენი იდეალური საძინებელი ოთახები თქვენ შესახებ?

ჩვენი

ჩემი მეგობრის

მიწიშენება

დიზაინი შენი კრეატიულობის გამოხატულებაა. მცირე სივრცეშიც შეგიძლია ჩაატო
იმდენი კრეატივი, რომ მნიშვნელოვნად შეცვალო გარემო.

რის მანქანას გამოიგონებდი სახლისათვის?

სახლის საქმეებიდან რომელი არ გიყვარს ყველაზე მეტად?

.....

კერძოდ რა არ მოგწონს ამ საქმეში?

.....

რა პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებოდა ეს გამოგონება?

დახატე შენი გამოგონება და დააწერე სახელწოდება.

ზოგჯერ შთაგონების ერთი წამიც საკმარისია, რომ ბრწყინვალე იდეა დაგებადოს. მაგრამ იმისთვის, რომ ეს იდეა გამოსაყენებელ გამოგონებად იქცეს, უამრავი ცდაა საჭირო. გამომგონებლებს იდეის განვითარებაზე დახარჯული დრო და ფული უნდა აუნაზღაურდეთ. სწორედ ამიტომ ეძლევათ მათ გამოგონების დაპატენტების შესაძლებლობა.

რამდენად აკმაყოფილებს შენი გამოგონება პატენტის მისაღებად საჭირო სამ ძირითად მოთხოვნას?

- მართლაც ახალია?
- არის მასში გამოგონების ელემენტი?
- შესაძლებელია მისი დამზადება და გამოყენება?

გამოიგონე აპლიკაცია, რომელსაც სკოლაში გამოიყენებენ

ვისთვის არის ეს აპი? (რა ასაკის ადამიანებისათვისაა?)


რისთვისაა? რა არის აპის დანიშნულება?

რა არის? მოკლედ დაწერე, რა შესაძლებლობები აქვს შენს აპს:

როგორ მუშაობს?

- ☐ კამერა
 ☐ გადაფურცვლა
 ☐ ბეჭდვა
 ☐ ხმის კონტროლი
 ☐ GPS
 ☐ გაფორმება
 ☐ სხვა

როგორ იქნება გაფორმებული? დახატე შენი აპის დიზაინი ქვემოთ მოცემულ ეკრანებზე:



ნუ იქნები თუთიყუში!

ბევრი „ახალი“ აპლიკაცია უკვე გამოყენებული იდეების გადამღერებაა. შეეცადე, რომ იყო ორიგინალური და არ გაიმეორო სხვების პოპულარული იდეები.

ხელი მოაწერე:

ვადასტურებ, რომ ეს აპი ჩემი ორიგინალური იდეაა!

მინიშნება

დაიმახსოვრე, რომ ცალკე ადებულ იდეას ვერ დაიცავ! თუ მართლაც განსაკუთრებული ახალი აპის იდეა მოგივიდა, დაიწყე მისი კოდირება და შეინახე კომპიუტერში. ამის შემდეგ შეგეძლება, ის საავტორო უფლებით დაიცვა.

სთხოვე მეგობარს, შექმნას ბლოგის ჩანაწერი სათაურით „ახლა, ამ წამს“

სთხოვე შენს მეგობარს, დაწეროს ბლოგი ქვემოთ მოცემული შეკითხვების გამოყენებით. ფიქრებისა და გრძნობების გადმოსაცემად შეუძლია ფერების, გამოსახულებებისა და სურათების გამოყენება.

„ახლა, ამ წამს“

- რა მაცვია?
- რას ვგრძნობ?
- რა მჭირდება?

- რა ვუსმენ?
- რას ვუყურებ?
- რა მსურს?

- როგორი ამინდია?
- რაზე ვფიქრობ?
- რას ვიმედოვნებ?

ამობეჭდე და აქ ჩააწებე.

დაწერე შენი მეგობრის სახელი და მიუთითე წელი.

©

ჰკითხე მეგობარს, არის თუ არა თანახმა, რომ ამ ნამუშევრის ასლი გააკეთო და კლასს უჩვენო.

შექმენი ახალი სპორტული ნივთი შენი საყვარელი სპორტის სახეობისთვის

სპორტის სახეობა:

სპორტული აღჭურვილობის ნაწილი ან ტანისამოსი, რომლის შეცვლაც გინდა:

რას გააუმჯობესებს შენ მიერ ჩაფიქრებული სიახლე - უსაფრთხოების დაცვას თუ შესრულების ხარისხს?

რით არის ახალი დიზაინი მნიშვნელოვანი?

დახატე შენი დიზაინი. შემდეგ რაიმე ფორმით მონიშნე და მიაწერე, რა გააუმჯობესე.

უჩვენე შენი დიზაინი მეგობარს და მოუყევი მის შესახებ.

როგორ ფიქრობ, შენი მეგობრის დიზაინი ახალია? რატომ?

მინიშნება

ახალი დიზაინის დარეგისტრირება მაშინ შეგიძლია, თუ მას ახალი ფორმა აქვს ან ახალი მოდელია, ან თუ ახალი ტექნოლოგიის გამოყენებითაა დამზადებული. თუ დიზაინის დარეგისტრირება გაუშვას, ეს მანამდე უნდა გააკეთო, სანამ სხვებს უჩვენებ.

შექმენი სასაქონლო ნიშანი შენი სპორტული ნივთისათვის

მოიფიქრე სახელი შენი ახალი სპორტული ნივთისთვის

რის თემა გსურს შენი მომხმარებლებისთვის? რა გზავნილის მიწოდება გინდა მათთვის?
.....

გონებრივი იერიშით მოიფიქრე, რა ფერები, ფორმები და ფრაზები შეიძლება გამოიყენო სასაქონლო ნიშანში. ფრაზები შეიძლება გამოიყენო სასაქონლო ნიშანში.

გააკეთე სასაქონლო ნიშნის მონახაზი

(გონებრივი იერიში)

უჩვენე შენი სასაქონლო ნიშანი მეგობარს. სთხოვე, რომ მოგცეს რჩევები მისი გაუმჯობესებისათვის. შემდეგ ხელახლა გააკეთე მონახაზი.

რჩევები

მინიშნება

სასაქონლო ნიშანი პროდუქტის ბაზარზე გატანაში გვეხმარება. ის ერთი გამყიდველის პროდუქტს მეორისგან გამოარჩევს და პროდუქტის ცნობას გვიაღვრილებს. კარგი სასაქონლო ნიშანი იოლად დასამახსოვრებელი უნდა იყოს. კარგი სავაჭრო ნიშანი იოლად უნდა დაგვამახსოვრდეს.

შექმენი სპორტული ნივთის სლოგანი და დაწერე მისი რეკლამის სცენარი

სლოგანი

მოიფიქრე სარეკლამო რგოლი, რომელშიც შენს სლოგანს გამოიყენებ.

ადგილი, გარემო:

.....

მონაწილეები:

.....

ცხრილში ჩაახატე სარეკლამო რგოლის სცენების მონახაზები:

სცენა ...	ხანგრძლივობა ...	სცენა ...	ხანგრძლივობა ...	სცენა ...	ხანგრძლივობა ...
შენიშვნა		შენიშვნა		შენიშვნა	
სცენა ...	ხანგრძლივობა ...	სცენა ...	ხანგრძლივობა ...	სცენა ...	ხანგრძლივობა ...
შენიშვნა		შენიშვნა		შენიშვნა	

მინიშნება

კარგი სლოგანი უნდა იყოს მოკლე და მარტივი. ის ხაზს უნდა უსვამდეს, თუ რით არის შენი პროდუქტი განსაკუთრებული. სიტყვები ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია.

დღე
14

როგორი ტორტი გინდა დაბადების დღისათვის?
მოიფიქრე და შექმენი განსაკუთრებული ტორტი



ტორტის სახელი:

ფერი:

ფორმა:

მორთულობა:

ინგრედიენტები:

- | | | |
|---------|---------|---------|
| • | • | • |
| • | • | • |
| • | • | • |

დახატე შენი ტორტის ესკიზი.

მინიშნება

უამრავ რამეს შეიძლება მიუღწეოთ კრეატიულად.

დაწერე ფილმის ან პიესის ერთი ეპიზოდის სცენარი

1. გაიხსენე რამე სახალისო ამბავი, რომელიც ცხოვრებაში გადაგხდენია.
2. დახუჭე თვალები და გონებაში გაითამაშე სცენა.
3. გახსენი კომპიუტერში დოკუმენტი. გვერდის დასაწყისში დააწერე სათაური.
4. ვინ მონაწილეობს ამ სცენაში? მარცხნივ ჩამოწერე მათი სახელები.
5. დაწერე დიალოგების პირველი ვერსია. შემდეგ წაიკითხე დიალოგები ხმამაღლა და ჩაასწორე. გაიმეორე ეს 10-ჯერ!

ამობეჭდე სცენარის საბოლოო ვერსია და ჩააწებე აქ:

©

გინდა, რომ შენი დაწერილი სცენა კლასში დაიდგას? რატომ? თუ არ გინდა, რატომ?

.....

დართავ თუ არა ნებას სხვა მოსწავლეებს, რომ შენი დაწერილი სცენა გაითამაშონ? რატომ?

შექმენი ახალი კომპიუტერული თამაში და დაწერე მისი სცენარი

თამაშის სახეობა:

სად ხდება მოქმედება?.....

როგორაა განლაგებული თამაშის ღონეები? (ოთახები)

.....

ვინ ან რა გვხვდება თამაშში? (ობიექტები)

.....

წესები:

.....

ქულების დაგროვება:..... ქულების დაკარგვა:.....

.....

დახატე „ოთახი“, რომელშიც თამაში იწყება.

გააცანი შენი თამაშის იდეა მეგობარს.

თამაში ორიგინალურია? სახალისოა? როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება?

შენი იდეების ციფრულ თამაშად გადასაქცევად კოდების წერა უნდა დაიწყო.

მინიშნება

ვიდეოთამაშები კრეატივისა და ტექნოლოგიის ნაზავია. ისინი დაცულია საავტორო უფლებებით, სავაჭრო ნიშნებითა და პატენტებით. მსოფლიოში მილიონობით ადამიანი მუშაობს ვიდეოთამაშების შექმნაზე. ამის საშუალებას მათ აძლევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით მიღებული შემოსავალი.

შექმენი მუსიკალური ალბომის ყდა

შეარჩიე შენი საყვარელი მუსიკალური ალბომი. კიდევ ერთხელ მოუსმინე, დააკვირდი მის ყდას და შეავსე ცხრილი.

	ალბომის ყდის ორიგინალური ვერსია	ალბომის ყდის ჩემი ვერსია
სახელი		
ფერი		
წარწერები (სიტყვები და ფრაზები)		
სურათები და გამოსახულებები		
აღწერა		

შექმენი მუსიკალური
ალბომის ყდა.

ამობეჭდე და აქ ჩააწებე.



ალბომის ყდის შექმნისას გამოიყენე საავტორო უფლებებით დაცული რაიმე მასალა?

.....

კონკრეტულად რა გამოიყენე?

მინიშნება

საავტორო უფლებები იცავს სიმღერებსა და მუსიკალურ ნაწარმოებებს. ასევე, შეიძლება დაცული იყოს მუსიკალური ალბომის გაფორმება.

დაწერე მოკლე საგა შენი ოჯახის ისტორიის მიხედვით

1. გაიხსენე ამბავი, რომელიც შენმა მშობლებმა ან ბებიამ და ბაბუამ გიამბეს.
2. გახსენი ახალი დოკუმენტი შენს კომპიუტერში და ჩაიწერე ეს ამბავი
3. წაიკითხე ყურადღებით და შეასწორე.
4. დათვალე სიტყვები და დაამატე ან მოაკელი იმდენი, რომ სიტყვების რაოდენობა ზუსტად 50 გამოვიდეს.
5. დააწერე სათაური.

მოკლე საგა - ეს არის ზუსტად 50 სიტყვით მოთხრობილი ამბავი. მისი სათაური 15 ასოზე მეტს არ უნდა შეიცავდეს.

ამობეჭდე შენი მოკლე საგა და აქ ჩააწებე.

ვის ეკუთვნის საავტორო უფლებები? შენ თუ იმ ადამიანს, ვინც გიამბო ეს ამბავი?

©

დაწერე და დაასურათე აკროსტიქის ტიპის ლექსი

1. კვირის რომელი დღეა? დაუკვირდი, რა გრძნობები გაქვს ამ დღეს
2. შეარჩიე ფერი და ქვემოთ, ნაწერისთვის გამოყოფილი უჯრის მარცხენა მხარეს ჩამოწერე ასოები იმგვარად, რომ ვერტიკალურად წაკითხვისას რაიმე სიტყვას ან ფრაზას ქმნიდეს.
3. ლექსის თითოეული სტრიქონის პირველი სიტყვა დაიწყე მარცხნივ დაწერილი ასოთი.
4. დაწერე კვირის ამ დღის განწყობასთან დაკავშირებული რაიმე ფრაზა ყოველ ხაზზე. წაკითხვით ლექსი ხმამაღლა და ჩაასწორე. ეს რამდენჯერმე გააკეთე.
5. დაკვირვებით წაკითხვით თითოეული სტრიქონი. დაურთე ტექსტს ილუსტრაციები.

აკროსტიქი ისეთი ლექსია, რომლის სტრიქონთა პირველი ასოებით სიტყვა შედგება (თუ ზემოდან ქვემოთ წაკითხავ). ზოგიერთ ლექსს რითმა არ აქვს, ასე რომ, არაა აუცილებელი, სტრიქონები გარითმო.

დღე
20

შექმენი ტანსაცმლის დიზაინი და შთაგონების წყაროდ ბუნება გამოიყენე

1. შენი აზრით, რომელი ცხოველი, მცენარე ან მწერია ყველაზე ლამაზი და საინტერესო?
2. ჩაინიშნე მათი მახასიათებლები:
3. გამოიყენე ეს ელემენტები ტანსაცმლის დიზაინის შექმნისას.

ფერები

მოხატულობა/ორნამენტი

მოხაზულობა

ფორმები

ტექსტურა

ბუნებაზე საგულდაგულო დაკვირვებამ, შესაძლოა, ინოვაციებისა და ახალი პროდუქტების შექმნისკენ გვიბიძგოს. ბევრი თანამედროვე მეცნიერი და ინჟინერი თავისი გამოგონებებისა და დიზაინის გასაუმჯობესებლად იღებენ ბუნებისგან იდეებს.

მინიშნება

ქსოვილის მოხატულობა, ტანსაცმლის ფორმები და შესახედაობა შეიძლება დარეგისტრირდეს, როგორც დიზაინი.

როცა კრეატიულობა მომავალს უკეთესობისკენ ცვლის

გამოგონების შექმნამდე გამომგონებელი ჯერ განსაზღვრავს პრობლემას, შემდეგ კრეატიულად ცდილობს მის გადაჭრას და ბევრს შრომობს, რათა თავისი იდეა რეალობად აქციოს.

ჩამოწერე მსოფლიოში არსებული სამი პრობლემა, რომლებიც გაწუხებს.

1

2

3

იმუშავე მეგობრებთან ერთად. გონებრივი იერიშის მეთოდით გამოთქვით პრობლემის გადაჭრის იდეები. სცადეთ, რომ უფრო ღრმად განავითაროთ რომელიმე იდეა.

მინიშნება

გამოგონებები ცხოვრებას უკეთესობისკენ ცვლის, ამიტომ ადამიანებს უნდა მივცეთ სტიმული, რომ მეტი გამოიგონონ და შექმნან. პატენტები წაახალისებს გამომგონებლებს, არ შეწყვიტონ მუშაობა, რადგან სწორედ პატენტი არ აძლევს სხვებს გამოგონების მოპარვის საშუალებას.

შენიშვნები

This image shows a single sheet of white paper with horizontal ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.

შენიშვნები

[illegible]

გილოცავ!
შენ შეიძინე
კრეატიულობის
ჩვევები!

რისი გაკეთება მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ?

როგორ ფიქრობ, შენს დღიურში ჩაწერილი იდეებიდან რომელია საუკეთესო? რატომ?

მას შემდეგ, რაც დაასრულე დღიურის შევსება, როგორ აპირებ კრეატიულობის ჩვევების შენარჩუნებას? მაგალითად, შეიძენ სახატავ რვეულს, დაიწყებ კოდის წერის შემსწავლელ წრეზე სიარულს, დაიწყებ ბლოგის წერას და ა.შ.

ჯილდოს მისაღებად შეავსე სერტიფიკატი და გამოგვიგზავნე.



კრეატიული დღიურის
შევსების სერტიფიკატი

სახელი

კლასი

ეძლევა 21-დღიანი კრეატიულობის დღიურის წარმატებით შევსებისთვის

თარიღი

ვადასტურებთ ხელმოწერით

.....

მასწავლებელი

.....

მშობელი

დამატებითი ინფორმაცია და ბმულები:

<https://euipeuf.eu/en/eugipp/activities>
<https://euipo.europa.eu/ohimportal/es/home>
<http://www.ideaspowered.eu/en/ip-basics>
<https://euipo.europa.eu/knowledge/course/view.php?id=1738>

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
IPinEducation@euipo.europa.eu